

# დღეობა

572 / 2  
1948

„ყვავილი, ტურფა ქვეყანა,  
იღბინე, ქართველთ მხარე,  
და შენც, ქართველთა  
სამშობლო გაახარე.“



1948

№ 8




საქართველოს ალექსანდრე მთაწარი  
კომიტეტის უკავალთხოვარი ორგანო  
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

აგვისტო  
1948

## მფრინავები

ჰა, კამარა შეჰკრა ცაში  
 ფრთაგაშდიდმა შევარდენმა  
 ხან დაუვარდში გაიქროლებს,  
 ხან ღრუბლებში შევარდება.  
 — იცი, ნანა, — ამბობს ვია, —  
 მეც მფრინავი უნდა გავხდე,  
 ხაღბის გული გავახარო,  
 და მტერს ცაში მტრულად დავხვედ.  
 შენ რომ გინდა, აგრონომი  
 გამოხვიდე, ჩემო ნანა,  
 თუ ველს მწერი შეესია  
 შეგიწამლავ ციდან ყანას.  
 გსურს თბილისში ვისაუბშოთ  
 და მოსკოვში ვისადილოთ?  
 მაშ გაფფრინდეთ... ნახე, ქარი  
 ჩვენს დაწევას როგორ ცდილობს.  
 ჩვენს უბანში ექიმობა,  
 ინჟინრობა უნდათ ბიჭებს;  
 მე კი ცაში ავიქროლებ,  
 ფეხს ღრუბლებზე დავაბიჯებ.  
 ... დღეს მფრინავთა ზეიშია,  
 ზეიშია მამაცების.  
 მათ ღალ ქროღვას პატარები  
 შეჰყურებენ გატაცებით.



იოსებ ნონაშვილი





პახანა ჭელიძე

ნახ. რ. სტურუსი

4507

# ღიღი ოჯახი\*)

## ნაყოფი გამოცანა

გამოცდების დროს საოცარი ფაქტუეუცია ხოლმე საბავშვო სახლში. ყველა კუთხეში, ყოველი ხის ძირას დაინახავთ გუნდ-გუნდად შეკრებილ ბავშვებს, გაკვეთილებს იმეორებენ, ერთმანეთს ეკითხებიან, ხუმრობენ, იცინიან. მაგრამ ვაი იმას, ვინც „სამიანს“ მოიტანს. ეს მთელი სახლის შეგრძებენდა მიაჩნიათ და იშვიათად ხდება, რომ ვინმემ „სამიანი“ მიიღოს...

სწორედ ასეთი ფაქტუეუცის დროს გოგიმ შენიშნა რომ, ანდრეიკო და ნოდარი ზშირად შედიოდნენ ნატურალისტების ოთახში და იქ „დაკვირვების ალბომში“ რაღაცას წერდნენ.

ერთ დღეს გოგამ იხელთა და, როცა ნატურალისტების ოთახში არავინ იყო, მარტოკა შევიდა. საჩქაროდ გადაშალა ალბომი და ასეთ დღიურებს წააწყდა:

15 აპრილი—ორივე თესლი თითქმის ერთდროულად აღმოცენდა, 7-8 დღის განმავლობაში.

20 აპრილი—საქმე კარგად მიდის. ალბათ, გავიმარჯვებთ.

12 მაისი—დავამყენით. მოუთმენლად ველოდებით ნაყოფის გამოღებას.

14 მაისი—გადავრგეთ. მცენარეს მოწყენა ეტყობა.

15 მაისი—ფოთლები სულ დაუქცნა. ალბათ, რაღაც შეცდომა დავუშვით. ჯერ არავის ვუშეღავენებთ ჩვენს საიდუმლოს, თუმცა ბევრია დაინტერესებული. განსაკუთრებით გოგი გვითვალთვალებს.

\*) გაგრძელება. იხ. ჟურნ. „დილა“ №№ 6, 7.





17 მაისი — მუდამდღე ერწყავთ, სასურველი შედეგი მაინც არ არის.

20 მაისი — ანდრეიკოს გამოცდილებამ გაიმარჯვა. თურმე აზოტის ხსნარით სუკობს მორწყვა. მკენარე გამოცოცხლდა. ახლა კი ნამდვილად მივიღებთ „ნაყოფ-გამოცანას“...

„ნაყოფი-გამოცანა“ მართლაც გამოცანად დარჩა გოგისათვის.

### შრომის ჯიღო

აგარაკ ბახმაროზე, საბავშვო სახლის კეთილმა დარაჯმა ძია თომამ, სხვა ბილთა შორის ორი უცნაური ნაყოფი აიტანა. ანდრეიკო და ნოდარი მოუთმენლად მივარდნენ ყუთებს. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხელი შევალეს თავიანთი შრომის ნაყოფს—ახალი ჯიშის პამიდორსა და კიტრს. პატარა კალათაში ჩააწყვეს და საჩქაროდ დეიდა თამართან მიარბენინეს.

— დეიდა თამარ! — ერთად წამოიძახეს გაბარებულმა ბავშვებმა — აი ჩვენი ბოსტნეული. ეს მივიღეთ გოგრაზე კიტრისა და კარტოფილზე პამიდორის დამყნით. ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ როგორ იმოქმედებდა ეს დეიდა თამარზე, თვალეში შეტყუებდნენ.

— ჯერ გემო ენაზოთ, — ჩვეული სიღინჯით თქვა დეიდა თამარმა.

— მართლაც დიდებული ყოფილა! — გულწრფელი სიხარულით დაასვენა გოგმა, როცა გემო გასინჯა. სასწრაფოდ კედლის გაზეთი გაამხადეს, რომელიც ანდრეიკოსა და ნოდარის შრომითს წარმატებას მიეძღვნა.

— ახლა კი, შრომის ჯიღოა მიიღე — ალერსიანი ღიმილით მიმართა ანდრეიკოს დირექტორმა და დებეშა გადასცა, — ძია თომამ თქვენს ბოსტნეულთან ერთად ესეც ამოიტანა.

დებეშაში ეწერა:

„მიკოლა ანდრისა-ძე გოროვენკო, რომლის შესახებაც თქვენ გვეკითხებით, ცოცხალია და მხნედ იბრძვის პარტიზანთა რიგებში. მას აწუხებს დაკარგული შვილის, ანდრეიკოს დარდი. თუ რამე იცით ბავშვის შესახებ, გთხოვთ ჩვენ გვაცნობოთ წერილით და აქედან მას შევატყობინებთ. — სარდლობა“.

მაგრამ, წერილის მისვლამდე გაიგო მიკოლა გოროვენკომ შვილის ამბავი! ერთ დღეს მას მოუტანეს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“, რომელიც იტყობინებოდა გმირობისა და მამაცობისათვის მიკოლა გოროვენკოს დაჯილდოების ამბავს. იმავე გაზეთის მეოთხე ვერადზე სხვა ცნობაც წაიკითხა მებრძოლმა. აქ ეწერა, რომ ქ. მახარაძეში, საბავშვო ბაღის აღსაზრდელმა ნოდარ ძნელაძემ და ანდრეიკო გოროვენკომ მიიღეს პამიდორისა და კიტრის სრულიად ახალი ჯიში, რისთვისაც მათ სიგელი გადაეცათ.

მამამ ბრძოლის ჯიღო მიიღო. შეიღმა — შრომისა.

დასასრული



იღბლიანი ნადირობა

ნახატი შალვა შაყაშვილისა

## ს ი ნ დ ი ს მ ა    შ ე ა წ უ ხ ა

ნინიკომ ალკებრამი გაკვეთილი არ მოამზადა და გადაწვეიბა სკოლაში არ წასულიყო.

ნაცნობებს რომ არ დაენახათ, სწავლის საათებში წიგნებით ხელში უსაქმოდ მოსიარულე, ნინიკო ადგა და ჭალაში გაიპარა.

საუხმე და წიგნები ბუჩქის ქვეშ დამალა და ლამაზ ზეპლებს დასაჭერად გამოუდგა. უცებ პატარა ბიჭუნას შეეფეთა, რომელიც კეთილი და ნდობით სავსე თვალებით შესცქეროდა.

ბიჭუნას ხელში ანბანის წიგნი და რეუული დაებღუჯა. ნინიკო მიუსუდა რაც მომხდარიყო და გადაწვეიბა გახუმრებოდა:

— შე საწყალო გამცდენელი! ასე პატარა ხარ და უკვ პატრუებს მობლებსა და სკოლას?

— არა! — უპასუხა გაკვირვებულმა ბიჭუნამ. — შე მართლა მიკ-

დიოდი გაკვეთილზე, მაგრამ აქ, ტუეში დიდი ძაღლი დადის, შეშეფა და გზა დამეკარგა.

ნინიკო მოიღუძა, მაგრამ ეს პატარა ბიჭუნა ისეთი სასაცილო და გულწრფელი იყო, რომ ნინიკომ ხელი მოჰკიდა და ჭალიდან გამოიუვანა.

წიგნები და საუხმე კი ისევ ბუჩქისქვეშ დარჩა, იმიტომ რომ ბავშვთან იმისი გამოჩენისა ვრცხვინებოდა.

ბუჩქებიდან ძაღლი გამოძვრა, წიგნებს არ მიეკარა და საუხმე კი შეუჭამა.

დაბრუნებული ნინიკო ჩამოჯდა და ატირდა. არა! განა საუხმის დაკარგვა ენანებოდა, მაგრამ მხიარული ჩიტები ირგვლივ მტად საამურად კალობდნენ და ნინიკოს გულზე ლოდჯით დააწვა შეუწუნარეული სინდისის ქენჯნა.



ბიორბი მახარაშვილი

ნახატი შ. ცხადაძის

## ჯიბის სანათი

სოფელელ ბიჭებს ძალიან მოეწონათ, როცა ელგუჯამ ჯიბიდან ელექტროსანათი ამოიღო და ბნელი ორღობე გააშუქა. ეს სანათი, დღეს დილით, მამამ თბილისიდან საჩუქრად ჩამოუტანა ელგუჯას და დიდი ხნის ნატერა დაბადების დღეს შეუსრულა.

ელგუჯა დაღამებას მოუთმენლად ელოდა, საჩუქარს ჯიბეში მალავდა, მოულოდნელად უნდოდა სოფლის ბიჭების განცვიფრება.

უმთავრო ბნელი საღამო დადგა.

პო — და, ელგუჯამ ჯიბიდან შეუმჩნეველად ამოაცურა სანათი, პატარა ღილს თითი დააქირა და მართლაც ყველა განცვიფრდა, ყველას თვალი მოსჭრა უცნაურმა შუქმა.

სოსანანთ ტატო ჯერ შეერთა, შემდეგ ელგუჯასთან მიიბრინა და წამოიძახა:

— რა არის, მაჩვენე, მაჩვენე!

ელგუჯამ უკან დაიხია.

— დაიცა... ეს ელექტროსანათია, აბა, შეხედე სადამდე აღწევს შუქი!

ელგუჯა აქეთ-იქით ატარებდა სანათის ელვარე შუქს. ბიჭები ამ შუქს ყოყინით დასდევდნენ, იმ ადგილს, სადაც შუქი დაეცემოდა, ფეხს დაჰკრავდნენ, თითქოს მისი დაქერა უნდოდათ. სირბილით და ცეცქობით რომ მოიქანცნენ ისევე ელგუჯას გარშემო მოგროვდნენ. ელგუჯამ სანათი ჩააქრო.

— აანთე, აანთე, — ახმაურდნენ ბიჭები.

— სანათს რვა საათის მარაგი აქვს, ასე რომ ვხარჯო მალე გამომეღვევა. — თქვა ელგუჯამ და სანათი ჯიბეში ჩაიღო.

— ერთხელ კიდევ გაჰკარი, გვასწავლე როგორ ინთება! — შეეხვეწა ტატო. ელგუჯამ სანათი ამოიღო, აანთო და ტატოს მიაშუქა. მან ახლავდა შეამჩნია, რომ ტატოს მამისეული მზარა მზარზე გადაე-



კიდა, ხელში სახრე ეჭირა, სყვიანი, ნატვრითსავსე თვალები ჰქონდა.

— ეს მაზარა რად გინდა? — შეეკითხა ელგუჯა და ამხანაგის სახეს დააკვირდა.

ტატო სახრეს დაეყრდნო და ხმადაბლა, გულისტყენით თქვა:

— ღამის ხარში მივდივარ, ხვალ დილით ხვანს ვიწყებთ.

— ღამის მეზრე ხარ? — შეეკითხა ელგუჯა.

— ჰო. — მოკლედ უპასუხა ტატომ და წასვლა დააპირა.

ელგუჯას გული შეუტოკდა, ხელი მოჰკიდა ტატოს და თბილად უთხრა:

— გაგაცილებ, ორლობე ბნელია, გზას გაგიშუქებ.

— არა, რა გაცილება მინდა, პირველად ხომ არ მივდივარ. — გაიცინა ტატომ და ორლობეზე დაეშვა.

ელგუჯამ სანათი აანთო და უკან დავდევნა.

— დაიცა ტატო, დაიცა!.. რაღაც უნდა გითხრა.

ტატო შეჩერდა. ელგუჯა მიუახლოვდა. ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი რას ეტყოდა. მკირე ხანს ჩუმად იდგნენ. „რა უნდა ამ ქალაქელ ბიჭს, რად მაგვიანებს?“ ფიქრობდა ტატო. ელგუჯას კი გული უცემდა: „მიეცე თუ არა, მიეცე თუ არა?!“ — ყოყმანობდა ის. ერთი გული „შოს“ ეუბნებოდა, მეორე — „არას“. ბოლოს კეთილმა გულმა სძლია: „მიეცი, მაგან ბნელი ღამე უნდა გაათნოს, ღამის მეზრეა, წყვილად ღამეში გაწვალდება, შენ კი თბილ ლოგინში უნდა დაიძინო, — დედის გვერდით“.

ელგუჯამ ანთებული სანათი ხელში მიაჩეჩა გაკვირვებულ ტატოს და წაილულ-ლულა:

— წაიღე, შენ უფრო გამოგადგება...

ტატო დაბნეული იდგა, თვალისა და გულის არ უჯერებდა.

— მერე შენ... რომ გაგიჯავრდნენ?

— ვინ გამოიჯავრდება, სანათი ჩემია, მამამ მარტუა... წაიღე.

— კარგი, მაშ სამაგიერო ჩემზე იყოს. — დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ მადლიერი ხმით წამოიძახა ღამის მეზრემ, სანათი გამოართვა და სახლის ქიშკრამდის მიაცილა კეთილი მეგობარი.

გულისფანქვლით აღიოდა ელგუჯა კიბეზე. თითქოს რაღაც დიდი დაჰკარგა, თითქოს რაღაც აკლდა. აქეთ-იქით იხედებოდა. კარი შეაღო და ოთახში ფეხაკრეფით შევიდა.

დედა მაგიდასთან იჯდა, წიგნს კითხულობდა. მამას დაემჩინა, დილით ადრე უნდა ამდგარიყო, რომ მატარებლისთვის მიესწრო.

— რად დივიციანე, ბიჭო? — შეეკითხა დედა. ელგუჯა გაუნძრევლად იდგა. ყელში რაღაც ებჯინებოდა. ვერ გაეგო, სიხარული იყო თუ წყენა.

— რა დაგემართა ბიჭო? — შეშფოთებით წამოიძახა დედამ და ფეხზე წამოდგა. — არაფერი. — წაილულლულა ელგუჯამ და მაგიდას მიუახლოვდა.

— არა... მითხარი რა დაგემართა, ნუ დამიმალება.

— სანათი. — დაიწყო ელგუჯამ და ხმა აუკანაკალდა.

— რა? წაგართვის? — წამოიძახა დედამ.

— არა.

— გააფუქე?

— არა.

— მაშ რა იქნა? რა უყავ სანათი! ასე უფრთხილდები მამის საჩუქარს?

— ტატოს ვაჩუქე. — წამოიძახა ელგუჯამ და ის, რაღაც, სიხარულისა თუ წყენის მსგავსი ისევ მოაწვა ყელში.

— არუქე? მერე რატომ?!



— ის ღამის მეხრეა. ბნელა, მარტო  
მიდიოდა.— დაჯერებით წარმოსთქვა გლ-  
გუჯამ და ტატოს ნატურით სავსე თვა-  
ლები მოაგონდა.

— კარგად მოქცეულხარ შეილო,  
კარგად.— წყნარად თქვა დედამ, ბიჭი სა-  
წოლთან მიიყვანა და ტანთ გახადა.

ელგუჯას მღელ ჩასთვლიდა. ნახევრად-  
მძინარემ იგრძნო, როგორ შეუკვცა დე-  
დამ საბანი, დაიხარა და შუბლზე აკოცა.  
სიზმარში ტატოს ხედავდა. ტატო მი-  
სი სანათით ჩაბნელებულ ველებს აშუქებ-  
და, ღამის ხარს მწყემსავდა და მზიარუ-  
ლად ღიღინებდა.

## გ ე მ ი ს ნ ა ხ ვ ა

ბგარკვზე, ერთხელ, ნინო  
მიიყვანა ზღვასთან დედამ;  
ზღვამ გოგონა გააოცა  
და ტიტინი ვერ გაბედა.

დიღხანს სდუმდა... მაგრამ უცებ  
ამოიღვა მკვირცხლად ენა;  
— ეს როგორი სახლი მოღის,  
თუ ნავია ამოღენა?!

დედას ტკბილად გაეცინა,  
გადახედა შვილს აღერისთ:  
— გემი არის, გენაცვალე,  
აკი იცი გემზე ღეჟსი!

დააკვირდი მის თეთრ ანძებს,  
მის ღიდ მიღებს, ცისფერ კარებს...  
შიგ რომ ჩაეხსდეთ, ჩემო კარგო,  
მთელ ქვეყანას მოგვატარებს!

ნინომ ღეჟსი გაიხსენა,  
აჭიკვიკდა ცუგრუმელა  
და ნაბიჭო ნაპირისკენ  
სიხარულით წარსდგა ნელა.



მისი ფიქრით: ღიდი გემი  
სახლსაც ჰგავდა, ნავსაც ჰგავდა.—  
ღამით, დიღხანს, მაგიდასთან  
დინჯად იჯდა,— გემს ხატავდა.

და ფიქრობდა; „მიტომ ვხატავ  
ამ გემს გულის სანეტაროდ,  
რომ ქვეყანა დედიკოსთან  
ერთად ტკბილად მომატაროს“.

გიორგი კაჭანიძე  
ნახატი გ. როინიშვილისა

დღე-მამამ იმ ზაფხულს დასასვენებლად ქართლის ერთ მაღლობზე წამოდგმული სოფელი აირჩია. ნუნუს სოფელი არ ენახა. იგი ქალაქში დიბადა და წამოიზარდა. მსუბუქმა და გრილმა ჰაერმა ბავშვს ხალისი შეჰმატა. შინ ფეხი არ უჩერდებოდა. თუ ჯეჯილებში არ დარბოდა ან ნახირს არ მისდევდა, სოფლის წყაროსთან ტრიალებდა, მართლაც და მთელი სოფელი აქ მოდიოდა. ნუნუ წყაროს თაღის წვერზე ჩამოჯდებოდა და თვალს ვერ აცილებდა მიმსვლელ-მომსვლელს. დასცქეროდა სიცოცხლესავით მჩქეფარე წყაროს, ნანინასავით ესმოდა მისი ჩხრიალი.

მაჯის სიმსხოთ გადმოქუხდა წყალი წყაროს თითბრის წვრილი მილიდან. აქედან ქვის ღარით საწნახელივით გძელ ცემენტის აუზში იღვრებოდა, ავსებდა და ალმასივით კაშკაშებდა.

დაცხებოდა თუ არა, გამოჩნდებოდნენ წყაროსკენ მომავალი კოკიანი ქალები. ხანდახან კოლმეურნეები წყაროსთან გამოივლიდნენ. დაღლილ-დაქანცულები ბებერი მუხის ჩრდილში დისვენებდნენ, შუბლს გაივრილებდნენ, დაუღებელი სეამდნენ წყალს.

ერთხელ ნუნუ და დედა ერთად წავიდნენ წყაროზე. სურასთან ერთად თან სპილენძის თასი წაიღეს. დედამაც გაივრილა შუბლი. მერე სპილენძის თასი აავსო და შესვა.

შუკრად ნუნუს თვალები გაუბრწყინდა, ადგილზე შეტბა, შემოტრიალდა ასკინკლით, როგორც პატარა გოგოებს სჩვევიათ.

— რამ გაგახარა შვილო? — ჰკითხა დედამ.

— დედიკო მარტე ეგ თასი. — შეგებევწა ნუნუ.

— განა შენი არაა! — გაიკვირვა დედამ.

— დედიკო, ისე მომეცი, რომ სულ ჩემი იყოს ეგ თასი, სულ... სულ... იი, თუნდაც გადავაგდო, დავკარგო... სულ ჩემი იყოს!..

— შენი ქირის სანაცვლო იყოს, როგორც გინდა ისე გამოიყენე. — უთხრა დედამ და შეიღის სპილენძის თასი გადასცა. გახარებულმა ნუნუმ შინისაკენ მოჰკურცხლა. ძმის სათამაშოებში ფოლადის ჯაჭვი ეგულებოდა. მოძებნა, სპილენძის თასს ყურში გამოაბა და ისევ წყაროსკენ გასწია.

იქ, თავისი პატარა თითებით ჯაჭვი წყაროს მიღს შეაბა და თასი ქვაზე შედგა, ეს რომ გააკეთა, ჩვეულებრივად წყაროს თაღზე შემოაჯდა.





დალილი კოლმეურნეები საშუალოდან ბრუნდებოდნენ. მიდიოდნენ წყაროსთან, სპილენძის თასით ცივ წყალს შეეპტეოდნენ.

— აი, გაიხარა ამისმა აქ მომტანმა და გამკეთებელმაო, — ეკაყოფილებით ამბობდნენ.

ღვდა შორიდან შეუმჩნეველად აღევნებდა შეილს თვალს. ყოველივე დაინახა, სიხარულის ცრემლები მოერია და ყანის-

პირას, სოფელს ამხანაგებთან გართულ ნუნუს სიყვარულით განეცდა.

გამვლელ-გამომვლელი კი განუწყვეტლად მოდიოდა წყაროსთან. სპილენძის თასს აფებდნენ, სვამდნენ და თან ამბობდნენ:

— აი, გაიხაროს ამ თასის აქ მომტან-მაო.

გორის ჩხიძე

## კუნტრუშა

ციხანას ერთხელ მამილომ  
ხბო მოუყვანა ბაზრიდან,  
პირობა დასდო გოგონამ  
რომ სანაქებოდ გაზრდიდა.

გასწმინდა, გააღამაზა,  
შეუქო ყველა მნახველმა;  
იფიქრა, ბოლოს „კუნტრუშა“  
გამოუგონა სახელად.

ციხოს, სკოლაში ყოფნისას,  
კუნტრუშა, თურმე, ფარულად  
ბოსდიდან გამოსულა და  
ვეჯიღში გადაპარულა.

რას იფიქრებდნენ, კუნტრუშა  
ასეთი ანცი თუ იყო,  
ზარი უმოვეს, შეაბეს  
რომ ველარ გაპარულიყო.

მევეცეს დაუნახია  
თოვლივით თეთრა-წვერიანს,  
და ჩვენი ქურდი კუნტრუშა  
მაშინვე დაუჭერია.

ძღვის გამოიხსნა კუნტრუშა  
გოგონამ ნითუღაბთებამ,  
მოიყვანა და ეზოში  
მოუნყო გაამართლება.

იხმო მეზობლის ბავშვები:  
დანაშაული განსაჯეს,  
სუღ ბოლოს ცუღქობისათვის  
კუნტრუშა წკეპლით დასაჯეს.

ზაპარია შპარალიშვილი

# ნანას მეგობრობა

პატარა, ცისფერთვალემა ნანა როდესაც სასიერნოთ მიჰყავთ, მწვანით დაბურულ, მწვინიერ ხეივნებს ხედავს. ქუჩებშიც კი ორმხრივ ჩამწყრივებულან მსუბუქფოთლებიანი ვერხვები. მაგრამ მის ეზოში ხე არა დგას. ეზო კი დიდია, ძალიან დიდი და იქ ბევრი ბავშვები არიან: ნანული, ეთერი, ომარი, ლეილა და მანანა. მაგრამ მათ შორის ცელქი და მოუსვენარი გვიც არის. ის ყველაზე დიდია და ყველაზე მოხერხებულია. გვიც თავის ხელით გაცეთებული კაკანათით ჩიტებსაც იჭერს, პატარა ბადით თევზების დასაპერათაც მიდის. ხშირად თავისზე პატარებს ატირებს; ან ბურთს წაართმევს, ან მიწისგან აშენებულ ციხე-კოშკებს დაუნგრევს. მაგრამ ბავშვები ერთმანეთთან მაინც ტკბილად არიან, მალე ავიწყდებათ გვიცის მოუსვენარა საქციელი.

ერთ დღეს დიდი სიხარული დატრიალდა ბავშვებში. ეზოში ხეხილის ნერგები მოიტანეს დასარგავად. ტანმალალი, შუახნის კაცი თხრიდა ორმოებს, სდებდა შიგ ნერგს და ირგვლივ მიწას აყრიდა. ბავშვები შემოვხვივნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდნენ, ის, კი, თავისი აბურძნული წარბებიდან გამწყრალოვით იტკირებოდა. მებალე კარგახანს მუშაობდა. აღრე გახაფხული იყო და ახლად დარგული ნერგები ჯერ კიდევ მოასწრებდნენ გახარებას.

მებალემ მუშაობა დაამთავრა. ეზოს ირგვლივ ნორჩი ხეები ლამაზად ჩამოაშქრივა, მერე ბავშვებს გაუღიმა და გამოეღაპარაკა:

— ეს ნერგები თქვენსავით პატარები არიან. თუ ხელს ახლებთ, ან გადავლუნვით, გახმებიან, აღარ გაიზარებენ!

ბავშვები უსმენდნენ. მათ უხაროდათ, რომ მკაცრი გამომეტყველების ძია, რო-



მელსაც დიდი უღვაშები და აბურძნული წარბები ჰქონდა, მათ ტკბილად ესაუბრებოდა.

— ამ ნერგებს უნდა მოუაროთ, ახლოს არავინ მიაკაროთ, წყალი დაასხით. კარგად დაიხსომეთ: თქვენ ან ნერგების შეგობრები უნდა იყოთ! — ასე დაამთავრა მებალემ თავისი თხოვნა და წავიდა.

ბავშვებმა გულში ჩაინერგეს მისი ნათქვამი, პატარა ნანამაც კი კარგად გაიგო, რომ დღეიდან ამ ნერგების მეგობარი გახდა.

ბავშვები ნერგებს დილაობით წყალს უსხამდნენ, ერთმანეთს აფრთხილებდნენ თამაშის დროს არ დასჯახებოდნენ და არ გადაეტებათ. ნანასაც კი ახსოვდა უღვაშისიანი ძიას სიტყვები:

— ამ ნერგების მეგობრები ხართო!..

გავიდა დღეები, კვირები. ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ ხეხილის შეფოთვლას, რომ მათი ეზოც დაშვენებულიყო.



ნერგებმა ჯერ ყლორტები გამოისხეს, აი, გაიზარდნენ ეს ყლორტები და ტოტებად გადაიქცნენ. მერე კვირტებიც ამოვიდნენ და მწვანით შეიმოსნენ. ბავშვებს უხაროდათ, უვლიდნენ და თავს ევლეოდნენ. მაგრამ... ერთ დილას ტირილით გაეღვიძა ნანას. სახეზე ეტყობოდა რალაკას სწუხდა.

— დედაცო, რა ცუდია გივი! — ჩიოდა ის თვალზე ცრემლმორეული.

— რა იყო შეილო, გუშინდელი ამბავი ახლა გაგახსენდა?

— გუშინდელი კი არა, აი, ახლა, ამ წუთში იყო... გივიმ ტოტები მოამტვრია ხეებს, მერე ძირს დაყარა და ზედ დარბოდა!

დედას გაეღვიძა. თმაზე ხელი გადაუსვა და ამშვიდებდა, — გივი მაგას არ იზამდაო.

ნანამ მიანიც არ დაიჯერა. მან ხომ თავისი თვალთ ნახა როგორ ამტვრევდა გივი საცოდავ ტოტებს, ამ ტოტების მტვრევის ხმა ტირილივით ესმოდა. ნანას თვითონაც სთხოვდა:

— გივი, ნუ ამტვრევ ტოტებს, ჩვენ ხომ მაგისი მეგობრები ვართ! — გივი კი არ უგონებდა.

ნანამ საჩქაროთ ტანთ ჩაიცვა, ხელპირი კი არ დაიბანა, თმაც არ დაუშარტუნია ისე გაიქცა ეზოში. უცნაურად უცემდა გული.

აი, ნერგებთან მიიბრინა. შორიდანვე თვალი შეავლო, მაგრამ ცუდი არაფერი შეუნიშნავს. ახლოს რომ მივიდა ყველა ხე სათითაოდ დაათვალიერა. დიდი აღამიანის მზრუნველობით შესტკვროდა ხეხილის პატარა მეგობარი თავისზე ბევრად მაღალ, მწვანედ გადაშლილ ხეს და თანდათან მშვიდდებოდა.

აივნებზე იდგნენ ნანას მშობლები. მათ ეცინებოდათ თავის პატარა შვილზე, რომელსაც ხეხილზე ფიჭვი და ზრუნვა ძილშიც კი ჩაჰყოლოდა.

როდესაც ნანამ გივი ნახა, მორცხვი ღიმილით უთხრა:

— რა კარგი ხარ გივი, ტოტები რომ არ დაამტვრიე. მე კი ცუდი მეგონე, მამაცტე. — და ნანამ თავისი სიზმარი უამბო.

გივიმ სიცილით აიყვანა ხელში ხეხილის პატარა მეგობარი. აბატა კიდევ, რადგან ეს ხომ ნანას პირველი სიზმარი იყო, რომელიც მას სინამდვილე ეგონა.

**ქალიშობა ზაღმინძი**  
ნახ. რ. ხეტურაძი.

## მ ღ ა მ ი ა ნ ი

ნუკრი ზაფხულის მზეს ბუჩქნარში დაემალა და სამყურას რძიან ყლორტებს დაუწყა ძოვა.

მზემ თეთრით მოწინწკლული ქათობი რომ დაუთბო, ნებიერად გაიკუნტრუშა და ჩრდილში ჩაწვა.

ტყიდან ნიავს ჩიტუნების მხიარული სტვენა მოჰყვა. მოუსვენარ კრინებს ნუკრმა ფრუტუნით უპასუხა, ყელი მოიღერა ყურებდაწვეპილმა,

წამწამების ჩრდილში მიინაბა დიდრონი თაფლისფერი თვალეები და სამყურას გემრიელ ბალახს ცოხვნა დაუწყა; დედაც ასე იქცეოდა.

წიფლნარში წამოფრეხილ ჭილყავის თევზივმა შეაშინა ნუკრი. ფეხზე წამოხტა, პირში ჩამდგარი რძიანი ნერწყვი სწრაფად გადაყლაპა, ყურები კეფაზე გადაიკრიფა და სანამ ყვანჩალები მინდვრიანზე გადა-

ივლიდნენ, ტყის ჩრდილებს მიაშურა.

ჩქარა დარწმუნდა რომ საშიში არა იყო რა, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. კუნტრუმით დაეშვა თავკვე. დედის ნაკვალევს დაუწყო ძებნა. მიხტოდა, მიკუნტრუმებდა. კვალმა წიფლნარში ჩაიყვანა პატარა, ბუჩქის ფოთლოვან შტოებს აეკრა და ტყეს ფრთხილად გაჰხიდა.

მობერებული ხეების ძირში პატარა წყარო მოჩუხჩუხებდა. ანკარა წყალი ჩხრიალით მიდიოდა ქვევით, სილნარში იღვრებოდა და ჰქვრებოდა.


იმ სილნარში იდგა საყვარელი დედაც, დინჯად ლოკავდა ქვიშნარს. ყურს არ ათხოვებდა გუგულის ძახილს, არც წიფლიანში მოუსვენარ შაშვების ჰახჰახს.

ნუკრი გააოცა დედის მოძრაობამ. — იქ არც სამყურაა და არც სხვა რამ ბალახი. რასა სკამს ნეტავი! — გაიფიქრა, ფრთხილად ჩაუარა წყაროს, მკერდზე გაეკრა, მიესაყვარლა.

— სადა ხარ შვილო?! — უკმაყოფილოდ ჰკითხა დედამ. შვილის წამოზრდილ რქებს აერიდა და შუბლი აულოკა. ფაფუკი ლოყა ბევრჯერ გადაუტარა წმინდა ქათიბზე.

სილნარზე დაფრენილმა შაშვების გუნდმა გააოცა ნუკრი. დედის ალერსში მინაბულმა, კარგად დაინახა, ნადირის ჩლიქებით დაკვალულ სილას, როგორ ხარბად ჰკენკავდნენ ჩიტუნები, და თან კმაყოფილებით ქლურტულებდნენ, ფრთებს იქნევდნენ.

— რასა ჰკენკავენ ჩიტუნები? — გაიფიქრა განცვიფრებულმა ნუკრმა. ფრინველებთან მიიბრძინა და ქვიშნარზედ ამშრალი ბრჭყვიალა სითეთრე დაჰყნოსა.



შემინებული შაშვები კი წიფლის შტოებს შემოაფრინდნენ და გაჯავრებულებმა, ჰახჰახით ჩამოსძახეს ნუკრსა.

დედა დინჯად მიუახლოვდა ნუკრს. რძის სუნიანი ყელუური მოულოკა. სიყვარულით ჩაჰხედა ხვევდოვან დიდრონ თვალეებში და უთხრა:

— აბა დაჰხედე, ამ სილაში, ქვიშნარზე დამშრალი თეთრი რომ ბრწყინავს, ეგ თეთრი — მლაშეა. ყველა სულდგმულს სკირდებამლაშე. წელან უვანჩალებმა ციკი მოჰკენკეს და გახარებულებმა მინდვრიანზე გადაიფრინეს. მხოლოდ შენისთანა პატარა ნუკრებს, მანამ ძუძუსა სწოვენ, არ მოსწონთ მლაშე. აბა მოსინჯე რა კარგია! ამას ბარში მარილს ეძახიან, — უთხრა დედამ. და შვილს ასწავლა თუ როგორ მოელოკა მლაშიანი.

ქათმავან ელისაბედაშვილი  
ნახატი ს. მაისაშვილით.

მედეას სწავლა ეხარებოდა. დედამ რამდენჯერმე სცადა ანბანი ესწავლებინა, მაგრამ მედეას კულისკური სათამაშოებში იყო. დედა გაჯაჟრდა და თავი დაანება.

ერთხელ მედეას უფროსი და ნათელა გაკვეთილებს აშხადებდა. ჩუმი იჯდა და წერდა. მედეა არ უსვენებდა, სათამაშოდ ეწეოდა.

— მედეა! ნუ მიშლი, თავი და მანებე! — უთხრა ნათელამ.

— რას წერ? — არ უსვენებდა მედეა.

— რას ვწერ და იმას, რომ მედეა ეშმაკია!

მედეას ეწეინა, მივარდა ხელში და უნდოდა რვეული დაესია.

ამ აურზაურის დროს ბავშვებს დედამ შემოუსწრო.

— ეც რა ამბავია? ნათელას ხელს რად უშლი?

— მამ რად დასწერა, რომ ეშმაკი ვარ.

— შენ ხომ კითხვა არ იცი, საიდან მოიგონე?

— დედა, მართლა კი არ დამიწერია, გავეხუმრე. — გაეცინა ნათელას.

— ახია შენზე რომ მოგატყუებს! — უთხრა დედამ მედეას.

მედეას შერცხვა და იმ სიღამის დედას შეეხვეწა მისთვის წერა-კითხვა ესწავლებინა.

მარიჯანი







CORO.

\* \* \*

- |  |  |
|--|--|
| <p>1. ვარდს გავფურჩქნა კოკორი,<br/>გადაპხვევოდა იასა,<br/>ზამბახსაც გაპლვიტებოდა<br/>და თავს უხრიდა ნიავსა.</p>          | <p>2. ტოროლა მალა-ღრუბლებში<br/>წკრიალ-წკრიალით გალობდა,<br/>ბუღბუღივც გახარებული<br/>ნაზის ხმით ამას ამბობდა:</p> |
| <p>3. „აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,<br/>ილხინე, ქართველთ მზარეო,<br/>და შენც, ქართველო, სწავლითა<br/>სამშობლო გაახარეო“.</p> |  |

— ამოდით, ამოდით ამხანაგებო!  
ასე ეძახდა თავის ამხანაგებს ხის  
ძირში ამოსული სოკო.

ძახილზე მიწიდან სოკოებმა თავი  
ამოჰყვეს, ამოხუჩხუნდნენ.

— გამარჯვებათ, გამარჯვებათ! —  
ერთმანეთს მიესალმნენ.

— რა მადლობელი ვარ წუხანდე-  
ლი ეუფუნა წვიმისა! კაი ხანია სინა-  
თლეზე მინდა ამოსვლა, მომებზრდა  
მიწაში ყოფნა, მაგრამ ვერ შევძე-  
ლი, მიწის პირი მეტად მშრალი იყო  
და ვერ ამოვატანე!.. თქვა ერთმა  
ქამასოკომ.

— მართალია, ვენაცვალეთ წვიმას!  
მიწა დაბუბუბუა და სულ ადვილად  
ამოვედით, — წამოიძახა ყველამ.

ამ ლაპარაკში იყვნენ სოკოები,  
რომ უცებ ტყეს ბავშვები ერთმუ-  
ლით შემოგისივნენ.



— უჰ, უჰ! ნაწვიმარზე რამდენი სო-  
კო ამოსულა! — წამოიძახეს ბავშვებ-  
მა და სოკოებს კრეფა დაუწყეს. კა-  
ლათები ნელ-ნელა ივსებოდა.

პატარა ვანი მოშორებით წავიდა.  
ერთი ხის ძირას მეტად ღამაში სო-  
კოები ნახა, სიხარულით დაუწყო  
კრეფა, აავსო კალათა და ამხანაგებ-  
თან მიიბრინა.

— უყურეთ! რა ღამაში სოკოებია!  
წინამძღოლმა გოგამ კალათაში ჩა-  
იხედა და შეჰყვირა:

— ვანო! ეგ ხომ შხამა სოკოა, არ  
წამოილო თორემ მაგისი შექამადით  
მოიწამლები.

ვანოს შეეშინდა, სოკოები სულ  
გადაყარა და დაღონებული შესცქე-  
როდა თავის ცარიელს, და ამხანა-  
გების სავეს კალათებს.

ამხანაგებმა უწილადეს ვანოს სო-  
კოები და მერე ყველანი კმაყოფილ-  
ნი სოფლისაკენ გაემშურნენ.

ან ახალწინივილი



ორი ბიჭუნა საათის ქვეშ იდგა და საუბრობდა.

— არითმეტიკული მაგალითი ფრჩხილებში იყო, და ამიტომ ვერ გადავწყვიტე, — თქვა კოტემ.

— მე კი ის მაგალითი იმიტომ ვერ გადავწყვიტე, რომ მასში შედიოდა სახელდებული რიცხვები. — უპასუხა ვანომ.

— შეგვიძლია ეს მაგალითი ერთად გადავწყვიტოთ, ჩვენ დრო კიდევ გვაქვს. — თქვა კოტემ და მიუთითა მრგვალ საათზე, რომელიც ორის ნახევარს უჩვენებდა.

— მთელი ნახევარი საათია ჩვენს განკარგულებაში, — წამოიძახა კოტემ, — ნახევარ საათში ძალიან ბევრის გაკეთება შეიძლება. სამოქალაქო ომში ნახევარი საათის განმავლობაში მამაჩემმა მნიშვნელოვანი პოზიცია დაიჭირა.

— მამაჩემი ხომ კაპიტანი იყო და გემის დალუპვის დროს ოც წუთში შესძლო მთელი გვირაბი და საბრძოლო მარაგი ნაგებში გადაეტვირთა.

— ოცი წუთი კი არა! ზოგჯერ ათი, ან ხუთი წუთიც კი ერთ საათზე მნიშვნელოვანია, ერთ წუთსაც კი შეუძლია გადააჩინოს ადამიანი.

მე ვიცი ერთი შემთხვევა: ერთი ბრძოლის დროს...

— მე კი ვიცი... — უტბად ვანო შეჩერდა და საათს შეხედა. — სრული ორია!

ბიჭუნები სახტად დარჩნენ.

— მოკურცხლოთ, — წამოიძახა კოტემ, — სკოლაში დაგვიგვიანდა.

— კი, მაგრამ მაგალითი? — შეშინებული შეეკითხა ვანო.

კოტემ ხელი ჩაიქნია და სირბილი განაგრძო.

3. ოსკვა

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი

### ფერადი ფანქრები

ჩვენს წინ ფერადი ფანქრებით სახეე ორი ყუთი დგას. პირველ ყუთიდან თუ ორ ფანქარს მეორეში მიუშვამტებთ, ორივე ყუთში ფანქრები თანაბარი იქნება, ხოლო მეორე ყუთიდან თუ ხუთ ფან-

ქარს პირველ ყუთში ჩავდებთ, — პირველში სამჯერ მეტი ფანქარი გახდება ვიდრე მეორეში.

რამდენი ფანქარია თვითველ ყუთში? შედგენილი რ. თავლიდიშვილის მიერ

მასუბისმცემელი რედაქტორი რეზა მარგინი

სარედაქციო კოლეჯია: გრ. აბაშიძე, მახარინე ბუჩუაძე, იოსებ პირველი, ილია სიხარულიძე, თინათინ თუაჩიშვილი, მარგალიტა მარგალიტა, ნატალია უნაშვილი, ზალმა ცხადაძე.

95/5

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



ყლის პირველი გვერდის მხატვრობა შესრულებულია ალ. გიგოლაშვილის მიერ  
ყლის მეოთხე გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ხ. მაისაშვილს

ბელწაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

„ДИЛА“ - ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 8 1948 г.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 საათი. ტელ 3-81-85  
გამომცემლობის შეც. № 65 სტამბის შეც. № 1216. ტირაჟი 7000 უფ 09719 ფანი 5 მან.

ტექსტი აწვრილია დ. პ. ბერაის სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ვერხალი  
დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვისტოკას“ სტამბაში, თბილისი რუსთაველის ქრთს. 42

საქ.  
თბილ. კომუნისტურ